პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 120 (5150)

1974 წ. 19 ივნისი, ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკურკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲣᲞᲘᲠᲐᲢᲔᲡᲝᲑᲐ ᲐᲨᲙᲐᲠᲐ ᲘᲧᲝ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 16 ივნისი. გუშინ აქ დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი სპორტულ აკრობატიკაში. ჩვენ უკვე ვიუწყებდით ასპარეზობაში საბჭოთა სპორტსმენების წარმატებაზე, რომლებმაც 8 პირველი ადგილი მოიპოვეს.

საბჭოთა ქვეყნის წარმომადგენლებს ჩემპიონატის მომდევნო დღეებშიც არ შეურცხვენიათ თავი. ისინი ყველას სჯობდნენ პროგრამის თითქმის ყველა სახეობაში. ნ. მასლობოიშჩიკოვამ კვლავ გაიმარჯვა ხტომის № 2 ვარჯიშში. ამრიგად, მან მოიხვეჭა მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული ხტომებში. ორგზის ჩემპიონები გახდნენ ვაჟთა წყვილებში ვ. ალიმანოვი და ვ. ნაზაროვი.

ქალთა სამეულებში I ადგილი დაიკავა სსრ კავშირის გუნდმა — 19,06. საპრიზო ადგილებზე გავიდნენ პოლონეთისა (18,96) და ბულგარეთის (18,49) წარმომადგენლები. ვაჟთა ოთხეულში № 2 ვარჯიშიც კარგად შეასრულა სსრ კავშირის გუნდმა. მას მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მიენიჭა — 18,99. II ადგილი დაიკავეს ბულგარეთის (18,79), III — გფრ-ის (12,66) წარმომადგენლებმა.



მანანა კობერიძე ბავშვობიდანვე მოიხიბლა სპორტული ტანვარჯიშის ოსტატ ქალთა გამბედაობითა და გრაციოზულობით. სწორედ ამ გატაცებამ მიიყვანა იგი თბილისის განათლების განყოფილების სპორტული ტანვარჯიშის სპეციალიზებულ სკოლაში.

სპორტის ოსტატ რ. პენკოვას ხელმძღვანელობითა და გულმოდგინე მეცადინეობით მანანა სპორტის ოსტატობის კანდიდატი გახდა. შარშან ჩვენი დედაქალაქის მოსწავლეთა სპარტაკიადაში კობერიძემ ჩემპიონის წოდება მოიპოვა თანატოლთა შორის და რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრებ გუნდში ჩაირიცხა. ნიჭიერ გოგონას არც წლევანდელ სეზონში შეურცხვენია თავი. იგი საპრიზო ადგილებზე გავიდა კიევისა და თბილისის ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრებაში და თბილისის მოსწავლეთა სპარტაკიადაში. კიშინიოვში გამართულ ცენტრალური სპორტული სკოლების საკავშირო ტურნირში მანანა კობერიძემ „ელეგანტურობისა და სილამაზის“ პრიზი დაისაკუთრა.

• • •

სურათზე: მ. კობერიძე თავისუფალი ვარჯიშის შესრულების დროს.

ი. იუნაევის ტექსტი და ფოტო.

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲓᲠᲝ — ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲤᲘᲐᲚᲨᲘ!

ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ რამაა ტურიზმი, სპორტული თევზაობა. ამ სახეობის მიმდევრებს უქმე დღეები ვერც კი წარმოუდგენიათ ბუნების წიაღში, კოცონთან გატარებული საღამოს გარეშე. ტურისტებისა და სპორტული თევზაობის ბევრი მოყვარულის აღჭურვილობაში ერთ-ერთი საპატიო ადგილი ფოტოაპარატსაც უკავია.

ტურიზმსა და სპორტულ თევზაობას ჩვენი შტატგარეშე ფოტოკორესპონდენტი ვ. სოკოლოვიც მისდევს. ამ სურათზე სწორედ სოკოლოვია აღბეჭდილი თავის „საბრძოლო პოსტზე“. მის წერილსა და ფოტორეპორტაჟს თბილისის საავეჯო კომბინატ „განთიადის“ მებადურთა შესახებ მე-2 გვერდზე გთავაზობთ.

ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲭᲘᲠᲐᲥᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

10 ივნისს მოსკოვში მოეწყო „სპორტლოტოს“ და „სპორტლოტო-2“-ის მორიგი, მე-16 ტირაჟი. გაგაცნობთ შედეგებს.

„სპორტლოტო“: ექვსი სახეობა ვერავინ გამოიცნო. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 3759 მანეთია (107 ბილეთი), ოთხისთვის — 37 (11.029), სამისთვის — 3 მანეთი (188.841).

„სპორტლოტო-2“: ექვსი ნომერი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 2112 მანეთია (46 ბილეთი), ოთხისთვის — 50 (2224), სამისთვის — 3 მანეთი (37.953).

მოგებული თანხა გაიცემა შემნახველ სალაროებში 21 ივნისიდან 20 ივლისის ჩათვლით. (საკ.).

ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲬᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲘᲓᲝᲡᲢᲐᲢᲔᲑᲘ

XXI საჭადრაკო ოლიმპიადის მთავარი ფინალური ტურნირის I ტურში გადადებული პარტიების დამთავრება მეორე დილით მოეწყო. საბჭოთა დიდოსტატებს ჩეხოსლოვაკიელებთან ორი პარტია ჰქონდათ დასამთავრებელი. სპასკიმ მოუგო ფილიპს, ხოლო კორჩნოი იანსას დაუზავდა. ამრიგად, სსრ კავშირის გუნდმა გაიმარჯვა ანგარიშით 3:1.

სხვა მატჩები ასე დამთავრდა: უნგრეთი — არგენტინა 3,5:0,5, შვეიცია — ჰოლანდია 1,5:2,5, ფინეთი — უელსი 2,5:1,5, ესპანეთი — ფილიპინები 3:1, აშშ — გფრ 1,5:2,5.

II ტურში საბჭოთა გუნდის მეტოქე იხგლისის ნაკრები იყო. ხუთსაათიანი თამაშის შემდეგ მატჩი შეწყდა, როცა ანგარიში 2:1 იყო საბჭოთა დიდოსტატების სასარგებლოდ.

ამ მატჩში კუზმინმა სძლია მერკლენდს, ხოლო კარპოვ — ჰარტსტონისა და ტალ — სტინის შეხვედრები ყაიმით დამთავრდა. გადაიდო პეტროსიან — კინის პარტია.

ჭეშმარიტი სენსაცია იყო ფილიპინების ნაკრების გამარჯვება უნგრეთის ძლიერ გუნდთან — 3:1. დიდოსტატი პორტიში დამარცხდა ახალგაზრდა ტორესთან, რომელიც შარშან ლენინგრადში საზონთშორისო ტურნირში თამაშობდა.

გაგაცნობთ სხვა შეხვედრათა შედეგებს: იუგოსლავია — ესპანეთი 2,5:0,5 (1), ბულგარეთი — უელსი 4:0, ჩეხოსლოვაკია — ფინეთი 3:0 (1), გფრ — რუმინეთი 0,5:0,5 (3), აშშ — ჰოლანდია 2:1 (1), შვეიცია — არგენტინა 1,5:0,5 (2).

2 ტურის შემდეგ ლიდერობს სსრ კავშირის გუნდი — 9 ქულა და 1 გადადებული პარტია.

ᲐᲮᲚᲐ ᲚᲘᲓᲔᲠᲝᲑᲡ ᲩᲘᲑᲣᲠᲓᲐᲜᲘᲫᲔ

ᲢᲘᲠᲐᲡᲞᲝᲚᲘ, 17 ივნისი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.) მოჭადრაკე ქალთა XXXIV საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალის IV ტურში დაწინაურდა 13 წლის თბილისელი ოსტატი მ. ჩიბურდანიძე. თამაშის დასაწყისშივე ლ. გოლდინამ (ტაშკენტი) როქის უფლება დაკარგა. მაიამ ძლიერი იერიში განავითარა და ლაზიერის მოგებით 28-ე სვლაზე გაიმარჯვა.

შეხვედრები მოიგეს: ა. მუსლიმოვამ (ალმა-ათა) — ი. ბერზინიასთან (რიგა), ნ. დრელმა (ლენინგრადი) — ტ. კოსტინასთან (მინსკი), ნ. ჩერნოვამ (ლენინგრადი) — თ. ხუგაშვილთან (თბილისი). ამ ბოლო პარტიაში ხუგაშვილის მეფე მეტოქის იერიშმა იმსხვერპლა.

ყაიმით დამთავრდა ტ. ფომინა (ტალინი) — ტ. კოროსენეს (ვილნიუსი) შეხვედრა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

4 ტურის შემდეგ მ. ჩიბურდანიძეს 3,5 ქულა აქვს, თ. ხუგაშვილს — 3, ტ. კოსტინასა და ტ. ფომინას — 2,5-2,5.

მ. ᲨᲘᲨᲝᲕᲘ,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი.

ᲙᲝᲨᲚᲝᲕᲡᲙᲐᲘᲐ — ᲚᲔᲕᲘᲢᲘᲜᲐ 4,5:4,5

კისლოვოდსკში მიიწურა ჭადრაკში ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩი ვ. კოშლოვსკაიასა (პიატიგორსკი) და ი. ლევიტინას (ლენინგრადი) შორის.

გუშინწინ, IX პარტიის დროს, ორივე მეტოქე ფულავდა. 36-ე სვლაზე ისინი დაზავდნენ. ანგარიში გახდა 4,5:4,5.

დღეს შედგება მატჩის დასკვნითი, X პარტია (ლევიტინა თეთრებით ითამაშებს). მასში გამარჯვებული შემოდგომაზე ფინალურ მატჩში შეხვდება ნ. ალექსანდრიას, აგრეთვე, შვა სსრ კავშირის ოლიმპიურ გუნდში (ქალთა VI ოლიმპიადა შემოდგომაზე კოლუმბიაში გაიმართება). მაგრამ პარტია ყაიმით რომ დამთავრდეს? მაშინ მეტოქენი დამატებით ექვს პარტიაში ბრძოლას პირველ მოგებულ პარტიამდე განაგრძობენ. თუ ექვსივე პარტია ყაიმით დამთავრდა (ეს ძნელი დასაჯერებელია!), მაშინ ალექსანდრიას მეტოქეს კენჭისყრა დაასახელებს.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲐᲯᲐᲯᲐᲠᲘ-74

● **ᲑᲣᲓᲐᲞᲔᲨᲢᲘ, 17 ივნისი.** გაზეთ „ნეპსავის“ პრიზზე გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში მსოფლიო რეკორდსმენმა, მოსკოველმა ფაინა მელნიკმა „ნეპშტადიონის“ რეკორდით გაიმარჯვა ბადროს ტყორცნაში — 67,64 მ. 1500 მეტრზე რბენა წლეულს მსოფლიოში საუკეთესო შედეგით მოიგო ელენ ტიტელ-ელმანმა — 4.15,9. საბჭოთა მძლეოსანთაგან II ადგილებზე გავიდნენ ვიტებსკელი ნ. გრებნიოვი (შუბის ტყორცნა — 83,16 მ) და გომელელი ვ. გავრილენკო (400 მეტრზე თარჯრბენი — 50,2 წამი), ხოლო მიუნჰენის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი, სტავროპოლელი ვ. ხმელევსკი მესამე იყო უროს ტყორცნაში — 69,08 მ.

● **ᲕᲐᲚᲙᲜᲘᲜᲒᲐᲠᲓᲘ, 17 ივნისი.** ჰოლანდიის ამ ქალაქის შემოგარენში გაიმართა მოტოკროსმენთა მსოფლიო ჩემპიონატის მორიგი ეტაპი „250-ანების“ კლასში. ლიდერობს მოსკოველი გ. მოისეევი — 125 ქულა. II ადგილზე მყოფი ი. ფალტა (ჩეხოსლოვაკია) ლიდერს 16 ქულით ჩამორჩება. აქ მოისეევი პირველ სერიაში ფინიშთან მეექვსე იყო, მეორეში კი — მეხუთე. შესაბამისად გაიმარჯვეს გებერსმა (ბელგია) და ფალტამ. პირველობის ბოლომდე სამი ეტაპი დარჩა. ჩემპიონი 25 აგვისტოს გამოვლინდება.

● **ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ, 17 ივნისი.** პოლონელ სპორტსმენთა შეჯიბრებაში, რომელშიც სხვა სოციალისტური ქვეყნების მძლეოსნებიც მონაწილეობდნენ, მასპინძელმა ჭოკით მხტომელებმა გამოიჩინეს თავი: ტ. ხლიუსარსკიმ 530 სმ სიმაღლე დაძლია, რ. მურავსკიმ — 520 სმ. სიგრძეზე ხტომაში გაიმარჯვა ელენა იონესკუმ (რუმინეთი) — 645 სმ, ბირთვის კვრა კი მოიგო ლიუდვიკა ჰევინსკამ (პოლონეთი) — 18,09 მ.

● **ᲜᲘᲜᲐᲞᲝᲚᲘ, 17 ივნისი.** მძლეოსანთა აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში 3000 მეტრზე წინაღობებით რბენა წლეულს მსოფლიოში საუკეთესო დროით მრიგო მიუნჰენის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორმა ტ. კანტანენმა (ფინეთი) — 8.26,6. II ადგილზე გასულმა, 22 წლის ფ. ფავამ იტალიის რეკორდი დაამყარა — 8.27,4. 5000 მეტრზე რბენაში ბადალი არ ჰყავდა მსოფლიო რეკორდსმენს, ბელგიელ ე. პუტემანსს — 13.36,6. 200-მეტრიან დისტანციაზე ლ. არამემ (საფრანგეთი) ოდნავ აჯობა იტალიელ ლ. ბენედეტის. ორივეს ერთნაირი დრო აქვს — 20,7 წამი.

● **ᲡᲐᲞᲝᲠᲝ, 17 ივნისი.** ფრენბურთელ ქალთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის მეორე დღეს სსრ კავშირის ნაკრებმა ისევ გაიმარჯვა, ამჯერად პერუს გუნდს სძლია — 3:0 (15:2, 15:7, 15:6). იაპონელებმა დაამარცხეს მექსიკის ნაკრები — 3:0 (15:6, 15:1, 15:5).

თავისუფალი დრო — ბუნების წიაღში!



აპარატით მებადურებთან ერთად

ფოტორეპორტაჟი

თბილისის საავტომობილო კომბინატ „გენთიადის“ სპორტულ სექციებში 800 ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი, მუშა და მოსამსახურეა ჩაბმული. ისინი ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარის ვ. ჩაჩიბაიას და ინსტრუქტორ-შეთოდისტის ა. ტიმოფეევის მეთაურობით ხშირად აღწევენ წარმატებებს სხვადასხვა შეჯიბრებაში.

სპორტული მიღწევებისთვის კომბინატი ბევრჯერ დაჯილდოებიათ ვიმპელებით, თასებით... სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში მოპოვებული წარმატებებისთვის მან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის დიპლომი მიიღო.

... 70-მდე კაცი მეცადინეობს სპორტული თევზაობის სექციაში. შექვაბე ზ. ბალახაძეს, ავეჯის ამწყობს ზ. პატარაშვილს, თანრიგოსან სპორტსმენს დ. დიაკოვს, ძმებს ვასილ, ნიკოლოზ და ვიქტორ გლუშკოვებს, ხერხის მლესავს მ. თევზაძეს და საწარმოს სხვა მუშაკებს ყოველ კვირას შეხვდებით ხრამსა და იორზე, ჯანდარის ტბაზე, მინგეჩაურის წყალსაცავზე. ისინი ტურიზმის დიდი მოყვარულებიც არიან. მათ და მათს ამხანაგებს — სექციის აქტივისტებს — არაერთხელ დაუკავებიათ საპრიზო ადგილები საქალაქო შეჯიბრებაში და „მებადურის დღეებში“.

ამ ფოტონარკვევის პირველ სურათზე თქვენ ხედავთ ლაშქრობის მონაწილეებს, მეორეზე — მებადურთა მხიარულ სამზადისს, მესამე სურათზე — მდიდარი ნადავლი; თევზი იხარშება.

ვ. სოკოლოვის ტექსტი და ფოტოები.

ნორჩი მოლაშქრეები

ზუგდიდის მე-8 საშუალო სკოლის VII და VIII კლასების 85 მოსწავლემ მოაწყო ტურისტული ლაშქრობა ასეთი მარშრუტით: მე-8 სკოლა — რუხი — აბასთუმანი — რუხის ციხე — მე-8 სკოლა. ნორჩ ტურისტებს ხელმძღვანელობდნენ მასწავლებლები გ. ქაძანაია და ზ. კორაცხელია.

ლაშქრობის, მონაწილეებმა გაიარეს 20-მდე კილომეტრი და ტურიზმში მწვრ კომპლექსის ნორმატივები ჩააბარეს.

ზ. ალფიბაია.

(ჩვენი კორ.).

ზუგდიდი.

ლელაქალაქის ტურისტულ კლუბში

სიგელებით დაჯილდოვდნენ...

ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალურმა საბჭომ შეაჯამა საქალაქო და რაიონული ტურისტული კლუბების საკავშირო დათვალიერება-კონკურსის შედეგები. ასეთი დათვალიერება-კონკურსი ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ტარდება. 1972-73 წლების შედეგების მიხედვით ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალური საბჭოს სიგელებით დაჯილდოვდნენ თბილისისა და სოხუმის ტურისტული კლუბებიც.

ახალი ფენომენი

დამთავრდა ტურიზმის ინსტრუქტორთა მოსამზადებელი კურს-სემინარი. ითდღიან სასწავლო-საწვრთნელ ლაშქრობაში 50 მომავალი ტურისტი მონაწილეობდა. მათ ჩეჩენ-ინგუშეთი დალაშქრეს, 20-კაციანმა ჯგუფმა კი პირქითა ხევსურეთის ტურისტული ბილიკები მოიარა. მოლაშქრეებმა რთულ პირობებში 150-მდე კილომეტრი გაიარეს და შეიძინეს ინსტრუქტორისთვის საჭირო ჩვევები.

ამჟამად მომავალი ინსტრუქტორები წარმატებით გადიან სტაჟირებას ერთ და ორდღიან მარშრუტებზე, რის შემდეგაც მიიღებენ ინსტრუქტორის წოდებას და სათანადო მოწმობას.

ყველა მსურველისთვის

შემუშავდა და საზაფხულო სეზონის დასაწყისისთვის დაიბეჭდა თბილისის ტურისტული კლუბის გეგმა-გრაფიკი, რომელიც მოიცავს პერიოდს 1 მაისიდან 31 ოქტომბრამდე. გეგმა-გრაფიკი გამოერეულია ქალაქის ყველა დიდ საწარმო-დაწესებულებაში.

მაბათობით ტურიზმის ყველა მოყვარულს შეუძლია მივიდეს დათქმულ ადგილას, საიდანაც კლუბის გამოცდილი ინსტრუქტორები საზოგადოებრივ საწყისებზე გაუძღვებიან ჯგუფს დადგენილი მარშრუტით.

ამ სიახლის წყალობით თვითმოქმედ ტურიზმს უკვე ასეულობით ახალი ენთუზიასტი ეზიარა.

ო. გოგოხიძე,
თბილისის ტურისტული კლუბის დირექტორი.

რაიონული სპორტიდან

აბაშა

რაიონის ფეხბურთელთა 12 კოლექტივი მონაწილეობდა „კოლმეურნის“ რაისაბჭოს თასის გათამაშებაში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ტყვირცხა და პირველი მაისის გუნდები. ტყვირელებმა კარგად ითამაშეს და დაძაბულ ბრძოლაში სძლიეს მეტოქეს — 2:1.

რ. ჭანტურია.

ხაშური

ფეხბურთელთა 9 გუნდი მონაწილეობდა საკოლმეურნეო შეჯიბრებაში „ოქროს თავთავის“ თასზე. საინტერესო ბრძოლების შემდეგ პრიზი მოიპოვეს ქვიხეთის საბჭოთა მეურნეობის წარმომადგენლებმა. II ადგილზე გავიდა სატივის გუნდი.

ს. ლომაიძე,
„კოლმეურნის“ რაისაბჭოს თავმჯდომარე.

გალი

ერთ თვეზე მეტხანს გასტანა ნორჩ ფეხბურთელთა ასპარეზობამ „ტყავის ბურთის“ პრიზზე. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 34 გუნდი. უმცროსი ასაკის ჯგუფში გაიმარჯვა სოფ. მეშელეთის „ციცინათელამ“, ხოლო უფროსი ასაკის ფეხბურთელთა შორის — გალის გაგარინის ქუჩის „მზიურმა“.

ვ. მიქაია,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

ადიგენი

საინტერესო იყო „კოლმეურნის“ რაიონული პირველობა ფეხბურთში. I ადგილი და გარდამავალი თასი ხვდა ადგილობრივი საბჭოთა მეურნეობის გუნდს. II ადგილზე არიან სოფელ ვარხნის ფეხბურთელები.

ნ. ბამულაშვილი.

ჩოხატაური

ჩატარდა სპორტსკოლის მწვრთნელ-მასწავლებელთა და საშუალო სკოლების ფიზიკურ-დის მასწავლებელთა რაიონული შეჯიბრება მაგიდის ჩოგბურთში. გაიმარჯვა 1-ლი საშუალო სკოლის მასწავლებელმა თ. ცინცაძემ. მეორე იყო გ. მეფარიშვილი (კოხნარის საშუალო სკოლა), ხოლო მესამე — ა. გორდელაძე (რაიონის ფრენბურთელთა გუნდის მწვრთნელი).

დ. ბურგენიძე,
სოფელ კოხნარის საშუალო სკოლის ფიზიკურ-დის მასწავლებელი.

რაიონული სპორტიდან

სსრ კავშირის პირველობა

I ლიგა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 19 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ნეფთჩი“	13	8	2	3	16—7	18
„ასკ“	12	7	2	3	18—9	16
„კრილია სოვეტოვი“	13	6	4	3	15—10	16
„კუზბასი“	13	7	2	4	17—16	16
„ლოკომოტ.“	12	7	1	4	19—9	15
„ტავრია“	12	6	3	3	20—13	15
„მინიკი“	12	5	4	3	14—11	14
„ზვეზდა“	13	5	4	4	17—17	14
„ურალმაში“	13	6	2	5	12—15	14
„სპარტაკი“ (ნალჩიკი)	12	4	5	3	10—7	13
„დინამო“	12	5	3	4	16—14	13
„პამირი“	13	4	4	5	13—13	12
„ტორპედო“	13	5	2	6	12—17	12
„მეტალურგი“ (ლიპეცკი)	12	4	3	5	15—15	11
„სპარტაკი“ (ივანო-ფრან.)	12	3	4	5	11—11	10
„სპარტაკი“ (ორჯონიკიძე)	12	4	2	6	17—22	10
„სტროიტ.“	13	2	5	6	13—19	9
„ყუბანი“	12	2	4	6	14—22	8
„მეტალურგი“ (ზაპოროჟიე)	12	2	2	8	10—21	6
„ტექსტილშ.“	12	1	4	7	10—21	6

II ლიგა
III ზონა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 19 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (ბათუმი)	13	7	5	1	17—4	19
„ისკრა“	13	8	3	2	19—8	19
„ტორპედო“	14	8	2	4	17—9	18
„დინამო“ (კიროვაბადი)	13	8	1	4	22—11	17
„დინამო“ (ვოლოგდა)	13	7	3	3	18—12	17
„ხიმიკი“ (ძერჟინსკი)	14	7	3	4	17—11	17
„კალიტვა“	14	7	0	7	19—17	14
„მერცხალი“	13	5	4	4	13—13	14
„ლოკომოტ.“	13	5	4	4	11—14	14
„დილა“	13	5	3	5	22—15	13
„გურია“	13	3	7	3	12—11	13
„ურალანი“	13	5	3	5	10—11	13
„ხიმიკი“ (ნოვომოს.)	14	6	1	7	11—14	13
„დინამო“ (სტავროპ.)	13	3	5	5	12—13	11
„დინამო“ (ბრიანსკი)	12	3	4	5	10—11	10
„შირაკი“	13	3	4	6	12—17	10
„ლორი“	13	3	4	6	9—24	10
„დინამო“ (ზუგდიდი)	14	4	1	9	10—19	9
„კოლხეთი“	13	3	2	8	4—15	8
„ფოლადი“	13	2	1	10	8—23	5

გვაჩვენეთ ქუთაისელთა თამაში!

ფეხბურთის მოყვარულები საკვირველს გამოთქვამენ და, ვფიქრობთ, საბართლიანსაც, იმის გამო, რომ აი, უკვე რამდენი წელია არ გვინახავს რესპუბლიკის მეორე გუნდის — ქუთაისის „ტორპედოს“ თამაში.

პრესის საშუალებით ვიცით, რომ ქუთაისის „ტორპედო“ მთლიანად განახლდა, გაახალგაზრდავდა და პერსპექტიული კოლექტივია, მაგრამ ყველას როდი აქვს დრო და საშუალება ჩავიდეს ქუთაისში რომელიმე თამაშის სანახავად, ტელევიზიით კი ტორპედოელთა მატჩებს არ აჩვენებენ.

ჩვენი აზრით, არც ისე ძნელი საქმეა სეზონის მანძილზე რამდენიმეჯერ გადაიცეს ქუთაისის „ტორპედოს“ თამაში ტელევიზიით. კარგის მეტს ეს საქმე არაფერს შოიტანს.

ა. ჯალიაშვილი.

წითელი წყარო.

პელე: ფეხბურთის მოდას ევროპა კარნახობს



— ევროპელები ახლა უკეთესად და უფრო სწრაფად თამაშობენ, — თქვა პელემ, როცა მსოფლიო ჩემპიონატის I ტურის მატჩებს უკეთებდა კომენტარს. — ფეხბურთის მოდას ამჟამად ევროპა კარნახობს. განსაკუთრებით მომეწონა ჰოლანდიის ნაკრები ურუგვაელებთან მატჩში, ხოლო მოთამაშეთაგან — ჰოლანდიელთა კაპიტანი კრუიფი.

ამ თამაშის შემდეგ ჟურნალისტებმა კრუიფს იერიშებისა და თავდაცვის არქიტექტორი უწოდეს. თავად შეხვედრის გმირი მეტოქეთა უხეშობაზე ჩიოდა. ერთ-ერთი ურუგვაელი — კასტილო არბიტრმა მინდვრიდან გააძევა. ფიფა-ს სადისციპლინო კომისიამ წესრიგის დამრღვევს სამი მატჩით დისკვალიფიკაცია უყო. ყოველივე ეს არასპორტული საქციელის წინააღმდეგ ბრძოლის აშკარად გამოხატული ტენდენციაა. გამოცხადებულია, რომ მსაჯებს ამის თაობაზე მკაცრი ინსტრუქციები და მეტად ფართო უფლებები მიეცათ.

ჩემპიონატის პირველ დღეებში საფეხბურთო მინდვრის გარეთაც მოხდა შემთხვევები. მაგალითად, ჰაიტის ნაკრებთან მატჩში შეცვლით განაწყენებულმა იტალიის გუნდის თავდასხმელმა კინალიამ გასახდელში „სცენა“ მოუწყო თავის მწვრთნელს. გუნდის სადისციპლინო კომიტეტმა („სკუადრა აძურას“ შტატში ასეთიც არის) გამოაცხადა: „კინალია მკაცრადაა გფრთხილებული“.

უსიამოვნებანი იყო „შოტლანდიელთა ბანაკშიც“. მწვრთნელებმა დაინახეს თავიანთი თავდასხმის ვარსკვლავი ჯონსტონი, როცა იგი სვამდა... ვისკის. ჯონსტონი პირველ მატჩში სათამაშოდ არ დაუშვეს.

ჟურნალისტებმა უკვე შეადგინეს I ტურის სიმბოლური ნაკრები: მასში, სხვათა შორის, არიან იუგოსლავიელები — მეკარე მარიჩი და ნახევარმცველი ობლაკი, პოლონელი დეინა, ბულგარელი დენევი და იხევ ის კრუიფი. (საკდესი).

ციფრები და ფაქტები ✓

◆ მსოფლიოს პირველმა ჩემპიონმა — ურუგვაის ნაკრებმა 1930 წლის გათამაშების ფინალურ ტურნირში მხოლოდ 3 ბურთი გაუშვა, რაც დღემდე რეკორდია. ეს შედეგი მხოლოდ იტალიელებმა (1934 წ.) და ინგლისელებმა (1966 წ.) გაიმეორეს.

◆ მსოფლიო ჩემპიონატების მატჩებში ყველაზე „სწრაფი“ გოლი 1938 წლის ფინალურ ეტაპზე გაიტანა შვედმა ოლე ნიბერგმა უნგრელთა კარში. ეს მოხდა 35-ე წამზე.

◆ 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ასპარეზობაში უნგრეთის ნაკრებმა რეკორდი დაამყარა — 5 მატჩში 27 გოლი გაიტანა.

◆ წლევანდელის ჩაუთვლელად ყველა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირების საუკეთესო ბომბარდირები ბრაზილიელები არიან — მათ 103 გოლი გაიტანეს. II ადგილზეა გფრ-ის ნაკრები — 98 გოლი.

◆ დასავლეთ გერმანიის ნაკრები ერთადერთი გუნდია, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოიპოვა ფინალურ ეტაპზე წაგებული მატჩის შემდეგ (1954 წ. უნგრეთთან — 3:8). ფინალში მან ისევ უნგრელებთან ითამაშა და გაიმარჯვა — 3:2.

◆ წლევანდელი გათამაშების ფინალში მსოფლიოს ყველა წინა ჩემპიონი გამოდის ინგლისის ნაკრების გარდა.

◆ მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია გერდ მიულერი (გფრ). ექვს თამაშში მან 10 გოლი გაიტანა, მხოლოდ ერთხელ გავიდა მინდვრიდან უგოლოდ (III ადგილისთვის ბატჩში). მიულერი საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელის ჟიუსტ ფონტენის „მსოფლიო რეკორდს“ (1958 წ შვეცია) 3 ბურთით „ჩამორჩა“.

◆ ზაირის ნაკრების მწვრთნელმა, 39-წლის იუგოსლავიელმა ბლაგოე ვიდინიჩმა თავისებური დუბლი ვააკეთა: 1970 წელს მისი ხელმძღვანელობით მაროკოს ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის მონაწილე პირველი აფრიკული გუნდი გახდა, წლეულს კი ზაირმაც იგივე შეძლო.

◆ საინტერესო ვითარება შეიქმნა შეორე ჯგუფში: შოტლანდიასა და იუგოსლავიას, რომლებიც 22 ივნისს უნდა შეხვდნენ ერთმანეთს, ერთხაირი აღმოაჩნდათ არა მარტო ძირითადი ფორმა (ლურჯი მაისურები, თეთრი ტრუსები, წითელი გეტრები), არამედ — სათადარიგოც (ყველაფერი — თეთრი). როგორ გადაწყდება ეს პატარა პრობლემა?

◆ მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის 32 მატჩს 1500000-ზე მეტი მაყურებელი დაესწრო. ვნახოთ, ახლა როგორი იქნება „მოსავალი“.

◆ გაზეთი „რაინიზ პოსტი“ იუწყება, რომ ძიძინარე ჩემპიონატის გასულ 8 მატჩზე გაიყიდა 344000 ბილეთი, ანუ ბილეთების საერთო რაოდენობის 64 პროცენტი.

კომპიუტერისა და ასტროლოგების პროგნოზი

დასავლეთ გერმანიის ერთ-ერთი დაწესებულების ელექტროგამოთვლელმა მანქანამ დაამუშავა სხვადასხვაგვარი მონაცემები ფინალის მონაწილე გუნდებისა და მოთამაშეთა შესახებ, რის შემდეგაც ადგილები ასე გაანაწილა: 1. გფრ, 2. ჰოლანდია, 3. ბრაზილია, 4. გდრ, 5. შვეცია, 6. იუგოსლავია, 7. პოლონეთი, 8. იტალია.

ასტროლოგებმა კი ფინალური მატჩის ანგარიში იწინასწარმეტყველეს: გფრ-ის ნაკრები აქ ნებისმიერ გუნდს მოუგებსო ანგარიშით 9:1.

„ფეხბურთის მეფე“ ფელადა?

პელემ განაცხადა, ფინალში იტალიის ან გფრ-ის გუნდს შეხვდება ჩემპიონატის პირველ მატჩში გაბარჯვებულიო. მაგრამ, მოგეხსენებათ, რომ ამ მატჩს (ბრაზილია — იუგოსლავია) გამარჯვებული არ დაუსახელებია.

ფული, ფული...

● მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორებმა შეჯიბრების მოწყობისთვის, მართალია, 40 მილიონი მარკა დახარჯეს, მაგრამ მოსალოდნელი შემოსავალი მათი გამოხატვარიშებით, ორჯერ მეტი უნდა იყოს.

● გფრ-ის საფეხბურთო კავშირი ერთვლული ნაკრების თითოეულ წევრს I ადგილის მოპოვების შემთხვევაში გადაუხდის 60 ათას მარკას, II ადგილზე გასვლისთვის — 50 ათას მარკას და ა. შ.

● ტაპისა და ტაპის ფიგურებმა — ჩემპიონატის სიმბოლოებმა საიმედოდ დაიკავეთ ადგილი მაღაზიების ვიტრინებში, ფეხსაცმლის, ავეჯის, სასმელების რეკლამებზე... 250 ფირმა სთავაზობს მყიდველებს თავის პროდუქციას ტაპისა და ტაპის „რეკომენდაციებით“. ამ სუვენირების გამოყენების ლიცენზია მათ 25 მილიონი მარკა დაუჯდათ.

საფეხბურთო ფელეტონები

● გფრ-ის მთელ რიგ დაწესებულებებსა და საწარმოებში ადმინისტრაცია ორსაათიან შესვენებას თავაზობს თავის პერსონალს დასავლეთ გერმანიის ნაკრების მონაწილეობით გამართული მატჩების მსვლელობისას იმ პირობით, რომ მოსამსახურეები დაკარგულ სამუშაო დროს შემდგომში აანაზღაურებენ.

● ქვედა საქსონიის უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლის პროფესორმა ჰაინრიხსმა მოუწოდა მასწავლებლებს ჩემპიონატის პერიოდში შეძლებისდაგვარად ნაკლებად დატვირთონ მოსწავლეები და მოლიანად უარი თქვან წერითს სამუშაოებზე.

● ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის კულტების საქმეთა სამინისტრომ, როშელსაც სკოლები ექვემდებარება, განკარგულება გასცა თამაშის დღეებში სწავლისგან გათავისუფლონ ის მოსწავლეები, რომელთაც შეძენილი აქვთ მატჩების ბილეთები.

● მატჩების შედეგებს ავიაკომპანია „ლიუფტჰანზა“ მგზავრებს ჰაერშიც კი შეატყობინებს.

პოლიცია აფრთხილებს...

ბევრი ცდილობს ფეხბურთზე ხელის მოთბობას. მათს რიცხვში ჯიბის ქურდებიც არიან. დასავლეთ გერმანიის პოლიციის საშმართველოს წარმომადგენელმა განაცხადა: „დღეისთვის დასავლეთ ევროპაში შეიძლება რამდენიმე ასეული ჩინებული ჯიბის ქურდის ჩამოთვლა. მათი უმრავლესობა ივნისსა და იულისში საფეხბურთო ჩემპიონატის ქალაქებში ინავარდებს“.

რაც ამბობენ, რაც წერენ...

პირველი ტურის ბოლო მატჩების შესახებ:

სპორტული კომენტატორები: „ეს იყო ექამდე გამართულ მატჩთაგან ყველაზე საინტერესო, ტექნიკური, ტემპერამენტული და წარმტაცი თამაში“.

„კიროლნერ შტადტ-ანცაიგერი“: „ახლა ყველამ იცის რამდენად ძლიერია პოლონეთის გუნდი. პოლონეთ — არგენტინის მატჩის შედეგმა ყველა ეჭვი გაფანტა: პოლონელი ფეხბურთელები პირველობის ფავორიტთა რიცხვს მიეკუთვნებიან“.

სხვა გაზეთები: „პოლანდიელთა კარგი თამაშის ფონზე ურუგვაის ნაკრებს ვარსკვლავებმა მხოლოდ სტატისტების როლი შეასრულეს“, „პოლონეთის გუნდის გამარჯვება განპირობა ესეთმა ფაქტორებმა, როგორიცაა ტექტიკური დისციპლინა, მოთამაშეთა დარაზმულობა“.

უეფა-ს სანქციები

უეფა-ს სადისციპლინო კომიტეტმა გამოაცხადა, რომ 5000 შვეიცარიული ფრანკით აჯარიმებს დასავლეთგერმანულ კლუბს „ბორუსიას“ (მენჰენგლადბახი).

ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების კალენდარულ მატჩში, როცა „ბორუსია“ მასპინძლობდა „მილანს“, გერმანელი მაყურებლები ერთობ გამომწვევად იქცეოდნენ და წესრიგს არღვევდნენ.

უეფამ „ბორუსია“ გააფრთხილა, რომ მსგავსი ამბის გამეორების შემთხვევაში მას საერთოდ ალარ დაუშვებს ევროპის ტურნირებში.

ჩვენი ჭაბუკები იმარჯვებენ



როგორც ვიუწყებოდით, საქართველოს მოსწავლე ფეხბურთელთა ნაკრებმა ამას წინათ I ადგილი დაიკავა პოლონეთში გამართულ საერთაშორისო ტურნირში. ჩვენს კორესპონდენტს ამ შეჯიბრების შესახებ ესაუბრა საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსი მწვრთნელი ბავშვთა და ჭაბუკთა ფეხბურთში ნ. ამირეჯიბი. გთავაზობთ ამ საუბარს:

— ტურნირს, სადაც ჩვენ მიგვიწვიეს, ეწოდება „მეგობრობის ტურნირი“. სარბიელზე გამოდიოდნენ კარლ-მარქს-შტადტის (გდრ), პლზენისა (ჩეხოსლოვაკია) და ლოძის (პოლონეთი) 1956-57 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა გუნდები. ტურნირის ორგანიზატორებმა იცოდნენ, რომ საქართველოს მოზარდთა გუნდები ბოლო ხანებში სისტემატურად იმარჯვებენ საკავშირო შეჯიბრებებში და სწორედ ამიტომ მიგვიწვიეს, თუმცა დებიუტანტთა პირობაზე ფავორიტებად არ მივაჩნდით.

საქართველოს ნაკრები ამჟამად საკავშირო სპარტაკიადისთვის ემზადება და ლოძში მგზავრობა მზადების ერთ-ერთ ეტაპსაც წარმოადგენდა. გუნდის მწვრთნელებმა ა. ვარლიამოვმა და თ. კუბლაშვილმა დიდი მუშაობა გასწიეს კოლექტივის სათანადოდ მომზადებისთვის, თუმცა წინასწარვე გვაწუხებდა ქუთაისის „ტორპედოს“ წევრის, პერსპექტიული და ძლიერი ფეხბურთელის შენგელიას არყოფნა.

საქართველოს ნაკრების მოთამაშეები საკმაოდ გამოწრთობილი იყვნენ საკავშირო შეჯიბრებებში, მაგრამ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობა, და ისიც უცხოეთის მინდორზე, მათთვის ახალი ხილი იყო. თანაც, ჩვენს გუნდში ორის გარდა ყველა 1957 წელს დაბადებული მოთამაშე იყო, მეტოქეები კი ერთი წლით უფროსები გვყავდა.

ჩვენს დელეგაციას ხელმძღვანელობდა სპორტის დამსახურებული ოსტატი ბ. პაიჭაძე. ჭაბუკი ფეხბურთელები მას უდიდესი პატივისცემით ეპყრობოდნენ და ყოველ მის რჩევას გულმოდგინედ უგდებდნენ ყურს. პირდაპირ უნდა მოგახსენოთ, რომ საზღვრის „გადალახვა“ ბ. პაიჭაძეს ერთობ გაუჭირდა: ფეხბურთის მოყვარულთა ალტაცებას, შეკითხვებსა და ავტოგრაფებზე ნადირობას ბოლო არ უჩანდა, ასევე იყო პოლონეთშიც, სადაც თურმე ჩვენს გამოჩენილ ფეხბურთელს ყველა კარგად იცნობს.

ტურნირის პირველი მატჩი ზდენსკა ვოლაში გვქონდა გდრ-ის გუნდთან. ეს იყო კარგად შეთამაშებული, ფიზიკურად ჩინებულად მომზადებული, ძლიერი მეტოქე, რომელმაც მძლავრი შეტევით დაიწყო თამაში და ჩვენს მეკარე მჭედლიძეს დიდი ჯაფა დააწვა. მიუხედავად იმისა, რომ თამაში მოვიგეთ საგრძნობი სხვაობით — 4:1 (2-2 ბურთი გაიტანეს ბილაურმა და ვლაშჩენკომ) ბრძოლა უკიდურესად დაძაბული იყო.

ამ ტურში პოლონელებმა დაამარცხეს ჩეხოსლოვაკიის გუნდი (2:0) და დარწმუნებული ვიყავით, რომ გადამწყვეტი მატჩი პოლონელებთან გვექნებოდა, მაგრამ, მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ძალიან გაჭირდა შეხვედრა ჩეხოსლოვაკიელებთან პეტკოვში. ძლიერი წვიმის შემდეგ მინდორი დამძიმდა და ჩვენს ბიჭებს უჭირდათ ტექნიკური უპირატესობის გამოყენება. მატჩის ბედი გადაწყვიტა ბილაურის შესანიშნავმა საჯარიმო დარტყმამ — 1:0.

ამასობაში პოლონელები მოულოდნელად დამარცხდნენ გდრ-ის ფეხბურთელებთან (0:1) და ჩვენი გუნდი ერთპირონელი ლიდერი აღმოჩნდა. თასის მოსაპოვებლად პოლონელებს ჩვენთვის, სულ ცოტა, ორი ბურთის სხვაობით უნდა მოეგოთ.

გადამწყვეტი შეხვედრა კვლავ წვიმიან ამინდში მიმდინარეობდა. მასპინძლები ყოველ ღონეს ხმარობდნენ წარმატების მისაღწევად, მაგრამ ჩვენმა ბიჭებმა ბრძოლის დიდი უნარი და მაღალი კლასი გამოავლინეს. კვლავ ისახელა თავი მეკარე მჭედლიძემ. ბილაურის, ჩაჩხიანისა და ვლაშჩენკოს ზუსტი დარტყმების შემდეგ მასპინძელთა კარი სამჯერ ავიღეთ. გავიმარჯვეთ ანგარიშით 3:1.

საქართველოს ნაკრები მომავალი წლისთვის ანალოგიურ ტურნირებშია მიწვეული ჯერ კარლ-მარქს-შტადტში, შემდეგ კი — პლზენში.

ამჟამად ჩვენი გუნდი განაგრძობს მზადებას საკავშირო სპარტაკიადისთვის, სადაც დაძაბული, უშეღავათო ბრძოლა მოგველის.

ფეხბურთი

ინგლისელებსაც ეღირსათ!

(1966 წ. ლონდონი. ფინალური მატჩის მთავარი მსაჯი გოტფრიდ დინსტი, შვეიცარია)

ინგლისი — გფრ 4:2

1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში მოსასვედრად 54 ქვეყნის ნაკრები გუნდები იბრძოდნენ. მათგან მხოლოდ თოთხმეტმა მიაღწია მიზანს, ხოლო ფინალური შეჯიბრების მასპინძლებს — ინგლისელებსა და მსოფლიო ჩემპიონებს — ბრაზილიელებს ეს უფლება ავტომატურად ეძლეოდათ.

— მსოფლიო ჩემპიონატს ისეთ მაღალ დონეზე ჩავატარებთ, როგორიც მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას არ ახსოვს, — განაცხადა ინგლისის ფეხბურთის ფედერაციის მდივანმა დენის ფოლოუზმა. — თავს არ დავზოგავთ, რათა ფეხბურთის საუკუნოვანი იუბილეს დიდებული ზეიმი მხოლოდ ჩვენი საკუთრება გახდეს.

მეოთხედფინალებში გასასვლელად ოთხ ქვეჯგუფში 16 ფინალისტი იბრძოდა. მატჩები ტარდებოდა მანჩესტერის, ლივერპულის, შეფილდის, ბირმინგემის, მიდლსბროს, სანდერლენდის შესანიშნავად მოწყობილ სტადიონებზე და ლონდონის „უემბლიზე". ჩემპიონატი, რომელსაც მსოფლიო განუზომელი ინტერესით მოელოდა, გასსნა ინგლისის დედოფალმა ელისაბედმა 1966 წლის 11 ივლისს საზეიმოდ მორთულ „უემბლის" სტადიონზე. ამავე სტადიონზე ჩატარდა დასკვნითი, ფინალური მატჩიც ინგლისსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდებს შორის.

100 ათასი მაყურებელი სტადიონზე და 400 მილიონი ფეხბურთის თაყვანისმცემელი მთელს მსოფლიოში აღელვებული ადევნებდა თვალს ფინალურ შეხვედრას და უცდიდა, თუ ვინ გახდებოდა მსოფლიოს ახალი ჩემპიონი. ინგლისელები პირველად მონაწილეობდნენ თასის გათამაშების ფინალში და გადაწყვეტილი ჰქონდათ, რადაც უნდა დასჯდომოდათ, ძვირფასი ჯილდო მოეგოთ. ლონდონის მატჩის საინტერესო დეტალი იყო ის, რომ 12 წლის შემდეგ ჩემპიონატის ფინალში კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს ევროპის გუნდები. ოკეანესგაღმელი ფეხბურთელები მაყურებელთა როლს დასჯერდნენ...

ფინალური შეხვედრის მთავარ მსაჯად ფიფა-მ დაამტკიცა შვეიცარიელი გოტფრიდ დინსტი, ხოლო გვერდითს მსაჯებად — ტოფიკ ბახრამოვი (სსრ კავშირი) და კარელ გალბა (ჩეხოსლოვაკია).

აი, რას ამბობს დინსტი ფინალურ მატჩზე:

„ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატში მე ვიყავი მთავარი მსაჯი ქვეჯგუფში იტალიისა და ჩილის გუნდების შეხვედრაში, გვერდითი მსაჯი — სსრ კავშირ — კორეის სახალხო-დემოკრატიული გუნდების მატჩში და ინგლის — არგენტინის მეოთხედფინალურ შეხვედრაში. ასე რომ, სამუშაო თავზე საყრელი მქონდა. მაგრამ 23 ივლისს, როცა უნგრელ ჟოლტთან ერთად კრაიტლაინის (გფრ) თანაშემწედ ვიყავი დანიშნული ინგლის — არგენტინის მეოთხედფინალურ შეხვედრაში, მეგონა, რომ ეს მერვე მსოფლიო ჩემპიონატში ჩემი ბოლო გამოსვლა იყო. ნახევარფინალებისთვის მსაჯები უკვე დანიშნული ყავდათ და ფიქრშიც ვერ გავივლებდი, თუ ფინალური მატჩის წარმართვას მე დამავალებდნენ.

ფინალამდე სამი დღით ადრე სასტუმრო „კინგსტონის" დარბაზში გაზეთებს ვათვალიერებდი. უცებ ჩემი ყურადღება „ბი-ბი-სი"-ს დიქტორის ხმამ მიიპყრო. დიქტორი მსოფლიო ჩემპიონატის ირგვლივ სხვადასხვა ცნობებს გადმოსცემდა და ბოლოს გამოაცხადა: „ყურადღება! ფიფა-ს მსაჯთა კომისიამ ფინალური შეხვედრისთვის გამოყო შემდეგი სამეული: მთავარ მსაჯად დანიშნულია შვეიცარიელი გოტფრიდ დინსტი..." ყურებს არ დავუჯერე და მაშინვე გალბასთან გავვარდი.

— გაიგეთ?

— გავიგე! — მიპასუხა გალბამ და ჩემზე არანაკლებ გაკვირვებულმა დასძინა: — ამ ცნობის ჭეშმარიტებაში რაც შეიძლება მალე უნდა დავრწმუნდე.

... „ბი-ბი-სი"-ს დიქტორი არ ტყუოდა.

დარჩენილი სამი დღე ამ საპასუხისმგებლო მატჩისთვის მოსამზადებლად გამოვიყენეთ.

1966 წლის 30 ივლისი — ფინალის დღე... მატჩი 15 საათზე იწყებოდა, მაგრამ ჩვენ ორი საათით ადრე შევიკრიბეთ, რათა ყველა წვრილმანზე მოგვეთათბირა და მოსალოდნელი ინციდენტების თავიდან აცილებისთვის წინასწარ დაგვესახა გზები. მხოლოდ ამის შემდეგ გავემურთ „უემბლისკენ".

გასასდელში დაგვხვდა ყვავილების სამი შესანიშნავი თაიგული და ფიფა-ს მსაჯთა კომისიის გულითადი მოლოცვა. ისინი წარმატებას გვისურვებდნენ.

ფინალური მატჩის ძირითადი, 90 წუთი დამთავრდა ფრედ — 2:2. მტაციედ მჯეროდა, რომ იმ უაღრესად სწრაფი ტემპის გამო, რომლისთვისაც ძირითად დროში არც ერთი გუნდის მოთამაშეებს არ უღალატიათ, დამატებითს 30 წუთში ანგარიში აღარ შეიცვლებოდა და მსოფლიო ჩემპიონობის საკითხს გადაწყვეტდა ხელახალი შეხვედრა მეორე დღეს.

როგორ ვცდებოდი!

დამატებითი დროის პირველივე წუთებში ინგლისელებმა ახალი ძალით წარმართეს გერმანელთა კარის შტურმი. ბოლისა და ბ. ჩარლტონის მიერ დარტყმული ბურთები ძელს მოხვდა. გოლი თითქოს პაერში იყო ჩამოკიდებული და საცაა მწიფე ნაყოფივით ჩამოვარდებოდა. ყველაფერი მე-100 წუთმა გადაწყვიტა. ინგლისელთა მიერ ელვის სისწრაფით გათამაშებულ კომბინაციას ჰერსტის ძლიერი დარტყმა მოჰყვა. ბურთი კარის ზედა ძელს მოხვდა. მე კარიდან დაახლოებით 20 მეტრის დაშორებით ვიდექი, მაგრამ კარგად დავინახე ბურთი ამავე დროს როგორ შეეხო ბადეს, დაეშვა ქვევით, კარის ხაზს შიგნით, და შემდეგ რაღაც სასწაულით ისევ მინდორს დაუბრუნდა...

ინგლისელები უკვე გოლის გატანას ზეიმობდნენ. გერმანელები წამით შეჩერდნენ, დაიბნენ, ჯერ მე შემომხედეს ვედრებით აღსავსე თვალებით (კარის აღების ნიშანი ჯერ კიდევ არ მქონდა მიცემული), შემდეგ გვერდითი მსაჯისკენ, თავიანთი ერთადერთი, უკანასკნელი იმედისკენ მიბრუნდნენ. რათა ჩემი გადაწყვეტილების სიზუსტეში დავრწმუნებულიყავი, ბახრამოვს მივაშურე. მან უყოყმანოდ მიმითითა ცენტრისკენ — 3:2.

საბოლოოდ ინგლისელებმა გაიმარჯვეს — 4:2. სტადიონი ტაშით ინგრეოდა. დიდი ბრიტანეთის ეროვნული დროშების ტალღა ზღვასავით ღელავდა „უემბლის" ტრიბუნებზე...

მძიმე ბრძოლის 120 წუთმა ქანცი გამიწყვიტა. იმ დროს, როცა ბედნიერებით გაბრუებული გამარჯვებული გუნდის მოთამაშეები ინგლისის დედოფლის ხელიდან უძვირფასეს ჯილდოს ღებულობდნენ, ჩვენ — მე, გალბას და ბახრამოვს ყურადღებიანმა ფიფა-ს მესვეურებმა რიმეს თასის მოოქრული ასლები გადმოგვცეს.

... ასე წავიღე ქალღმერთი ნიკე ბაზელში, ჩემი ბავშვობისა და ახალგაზრდობის ქალაქში, სადაც მრავალი წლის წინათ ქუჩებში დავდევდი ტყავის ბურთს, სადაც პირველად შევიყვარე ფეხბური და მსაჯობა. ქალღმერთ ნიკეს კოპწია ქანდაკებას თვალისჩინივით ვუფრთხილდები. ვუფრთხილდები, რადგან სწორედ ის შემომრჩა ჩემი მსაჯობის წლებიდან ყველაზე ძვირფას რელიკვიად".

დინსტი მართლაც თვალისჩინივით უფრთხილდება ნიკეს ქანდაკების ასლს. ასევე ცივ ნიავს არ აკარებს იგი ოქროს სასტვენსაც. სხვათა შორის, მსოფლიო ჩემპიონატების ფინალური შეხვედრების ისტორიაში პირველად ლონდონში მოხდა, რომ ოქროს სასტვენები მიიღეს გვერდითმა მსაჯებმაც გალბამ (ჩეხოსლოვაკია) და ბახრამოვმა (სსრ კავშირი).

მაგრამ იყო ერთი რამ, რასაც დინსტი ვერ გაუფრთხილდა. საქმე ისაა, რომ დინსტს დავალებული ჰქონდა ფინალური მატჩის ბურთი შეხვედრის შემდეგ საორგანიზაციო კომიტეტისთვის გადაეცა. როგორც ამბობენ, ბურთი აუქციონით უნდა გაყიდულიყო და შემოსავალი საქველმოქმედო მიზნებს მოხმარდებოდა.

მაგრამ მატჩის შემდეგ გაუთვალისწინებელი ამბავი მოხდა: ბურთი თითქოს მსაჯის საფინალო სასტვენის ხმასთან ერთად გაქრა ჰაერში. დიდხანს ეძებდნენ, მაგრამ ამაოდ.

დინსტმა ჯერ კიდევ მატჩის დაწყებამდე გააფრთხილა მოთამაშეები: დამთავრებისთანავე ბურთი მე უნდა გადმომცეთ, ასეთია ფიფა-ს გადაწყვეტილებაო. მატჩის შემდეგ მსაჯმა ინგლისელთა კაპიტანს რობერტ მურს ჰკითხა, ბურთი სად გაქრაო. მან უპასუხა, შეიძლება გერმანელებმა დამალესო.

დაჯილდოების ცერემონიალის დროს ბევრმა მართლაც დაინახა, რომ გერმანელ ჰალერს ხელში ბურთი ეჭავა. იგივე ბურთი ბანკეტის დროსაც გამოჩნდა გფრ-ის გუნდის მაგიდაზე, მაგრამ ჰალერმა ლამის ხატზე დაიფიცა, ეს ჩემი საკუთრებაა, ახალთახალი ბურთია და იმისთვის მოვიტანე, რომ ზედ ინგლისელ, საბჭოთა და პორტუგალიელ ფეხბურთელებს სამახსოვროდ წარწერები გავაკეთებინოო.

• • •

სურათზე: ფინალური მატჩის წინ. გფრ-ის გუნდის კაპიტანი უ. ზელერი (მარცხნივ) და ბ. მური სამახსოვრო ვიმპელებს ცვლიან. მსაჯები (მარცხნიდან): ბახრამოვი, დინსტი, გალბა.

„ქარვის ნიჩბეგრის" ჯრიზები

ტრაკაი, 16 ივნისი. ვილნიუსის „ჟალგირისის" ქალთა რვაადგილიანის ეკიპაჟმა (მენიჩბე კ. კოჟენკოვა) წლეულს ეს უკვე მესამე შეჯიბრება მოიგო — ამჯერად შინ, ტრაკაიში. მე-13 საერთაშორისო რეგატამ „ქარვის ნიჩბები", რომელიც ორ დღეს გაგრძელდა გალვეს ტბაზე, მონაწილეთა სარეკორდო რაოდენობას მოუყარა თავი: სარბიელზე გამოვიდა 12 მოკავშირე რესპუბლიკის, აგრეთვე, გდრ-ის, რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის 600-ზე მეტი ნიჩბოსანი.

„ჟალგირისის" რვაადგილიანის ეკიპაჟმა, რომელმაც გადაწყვიტა თავისი თანაკლუბელების, ევროპის სამგზის ჩემპიონების სასახელო ტრადიცია გაეგრძელებინა, დღეს 1000-მეტრიან დისტანციაზე მძაფრ ბრძოლაში-ფინიშამდე — გაიმარჯვა — 3.08,0. მან 2,2 წამით გაუსწრო კიევის კლუბების სწრაფად „მზარდ ეკიპაჟს (მენიჩბე ნ. ისაევა).

ფინიშისკენ ყველაზე გრძელი გზა ედოთ ჩეხოსლოვაკიელ სპორტსმენ ქალებს: 1800 კილომეტრი — ავტობუსით, ბოლო კილომეტრი — ნავით, თანაც დაუსვენებლად. პრაღის ორადგილიანი წყვილმოსასმელიანის ეკიპაჟი (ა. კარკოვა და დ. იანკუ), ისევე როგორც შარშან, ფინიშთან პირველი მივიდა — 3.49,9. მეორე დღეს ამ დუეტმა კიდევ უფრო დამაჯერებლად გაიმარჯვა — 3.33,8.

ერთადგილიანებით შეჯიბრებაში „ქარვის ნიჩბების" პრიზები მოიპოვა ევროპის ორგზის ჩემპიონმა, კაუნასელმა გ. რამოშკენემაც. (საკუთი).

√ გაიმარჯვა შუიტენმა

ბლეკპულში (ინგლისი) დამთავრდა ტრადიციული მრავალდღიანი „რძის რბოლა". ბოლო, XII ეტაპის წინ მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ველოსიპედისტი რ. შურკოვსკი II ადგილზე იყო და ლიდერს, ჰოლანდიელ რ. შუიტენს სულ 7 წამით ჩამორჩებოდა. ბევრი ფიქრობდა, რომ ბოლო ეტაპზე შურკოვსკი შეძლებდა წარმატების მოპოვებას და გაიმარჯვებდა, მაგრამ ასე არ მოხდა: ინტერვალი იგივე დარჩა. პრიზიორთა სამეული ასეთია: 1. რ. შუიტენი — 39:35.01, 2. რ. შურკოვსკი — 39:35.08, 3. ტ. ფილიპსონი (შვეიცია) — 39:35.19.

გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ჰოლანდია — 118:44.12, 2. შვეიცია — 118:46.54, 3. პოლონეთი — 118:47.12.

სხვათა შორის, შუიტენი ბოლო ექვსი წლის განმავლობაში მეხუთე ჰოლანდიელი ველოსიპედისტია, რომელმაც „რძის რბოლა" მოიგო.

(საკ. ინფ.).

ჩემპიონები „როლან გაროდან"

პარიზი, 17 ივნისი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატში დიდი წარმატებით იასპარეზა მოსკოველმა ჩოგბურთელმა ო. მოროზოვამ. ამერიკელ კ. ევერტთან ერთად მან მოიპოვა გრუნტიან მოედნებზე ამ არაოფიციალური მსოფლიო ჩემპიონატის ოქროს ლაურეატის წოდება. „როლან გაროს" საჩოგბურთო სტადიონის მთავარ კორტზე 10 ათასი მაყურებელი მოწმე იყო ქალთა ამ ინტერნაციონალური დუეტის შესანიშნავი თამაშისა ფინალურ მატჩში ასევე ინტერნაციონალური წყვილის — ფრანგ გ. შანფროს და გფრ-ის წარმომადგენელ მ. ებინგჰაუსის წინააღმდეგ. შეხვედრის ანგარიშია 6:4, 2:6, 6:1.

როგორც ვიუწყებოდით, მოროზოვა და ევერტი ერთეულთა თანრიგის ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს და გაიმარჯვა ევერტმა, რომელმაც ამას წინათ მოპოვებულ იტალიის ჩემპიონის წოდებას საფრანგეთის ჩემპიონის ტიტულიც დაუმატა.

ეს წარმატება გაიმეორა ახალგაზრდა შვედმა ჩოგბურთელმა ბ. बორგმა, რომელმაც ფინალში ესპანელ მ. ორანტესს სძლია — 2:6, 6:7, 6:0, 6:1, 6:1.

შერეულ წყვილებში საუკეთესონი იყვნენ მარტინა ნავრატილოვა (ჩეხოსლოვაკია) და ივან მოლინა (კოლუმბია), ხოლო ვაჟთა წყვილებში — ო. კრილი (ავსტრალია) და ო. პერანი (ახალი ზელანდია).

ჯო ფრეზიერი უჯევს

ნიუ იორკი, 18 ივნისი. ადგილობრივი „მედისონ სკვერ გარდენის" რინგზე მძიმე წონის პროფესიულ მოკრივეთა შორის მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ჯო ფრეზიერმა სძლია საჩემპიონო გვირგვინის მაძიებელ ჯერი ქვორის.

შეჯიბრებას წარმოუდგენელი აკიტაჟი ახლდა: გამარჯვებულმა ფრეზიერმა მომავალ სექტემბერში მსოფლიოს ამჟამინდელი ჩემპიონის ჯო ფორმენისა და მსოფლიოს ექს-ჩემპიონ მუჰამედ ალის ორთაბრძოლაში გამარჯვებულთან შეხვედრის უფლება მოიპოვა.

ბურჟუაზიულმა პრესამ, რომელიც ცეცხლზე ნავთს ასხამდა, ქვორის „თეთრი იმედი" უწოდა, აქაოდა შესწევს ძალა ამ წონაში ზანგი სპორტსმენების ჰეგემონიის დამხობისთვისო. პრესა ყოველნაირად ხელს უწყობდა მატჩის გარშემო შექმნილ არაჯანსაღ ვითარებას და ბილეთების ფასმაც „მედისონ სკვერ გარდენში" 100 დოლარს მიაღწია.

ფორმენთან და ალისთან დამარცხების შემდეგ ფრეზიერი საგულდაგულოდ მოემზადა ახალი შეხვედრისთვის. მისი აშკარა უპირატესობის გამო მსაჯმა მე-5 რაუნდში ბრძოლა შეწყვიტა. ეს მსაჯი კი გახლდათ 40-ანი წლების მსოფლიო ჩემპიონი ჯო ლუისი, რომელიც იმ დღეს 60 წლისა გახდა.

კუბელთა წარმატება

სანტო-დომინგო (დომინიკანელთა რესპუბლიკა). დამთავრდა ცენტრალური ამერიკის XII თამაშები, რომელშიც 21 ქვეყნის გუნდები მონაწილეობდნენ. არაოფიციალურ საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს კუბელებმა, რომლებმაც 306 მედალი მოიპოვეს, მათ შორის — 217 ოქროსი. II ადგილზე არიან მექსიკის სპორტსმენები, III — პუერტორიკოელები.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გლდანის № 1 საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სპორტული სკოლა-ინტერნატი აცხადებს **მოსწავლეთა მიღებას** 1974-75 სასწავლო წლისთვის V, VI, VII და VIII კლასებში **ფეხბურთის, მძლეოსნობის, ჭიდაობისა და ველოსპორტის** განხრით.

IX კლასში მიიღებიან მძლეოსნობის, ველოსპორტისა და ჭიდაობის განხრით, უფროსთა მეორე თანრიგის მქონენი.

სკოლა-ინტერნატში მიიღებიან: V კლასში—1963 წელს, VI — 1962, VII — 1961, VIII — 1960, IX — 1959 წელს დაბადებულნი.

სპორტულ სკოლა-ინტერნატში ჩარიცხვის მსურველებმა უნდა შემოიტანონ შემდეგი საბუთები: 1. განცხადება, 2. დაბადების მოწმობა, 3. ცნობა იმის შესახებ, თუ რომელ კლასში სწავლობს და ნიშნების ფურცელი, 4. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 26 და № 191), 5. სამი ფოტოსურათი ზომით 3×4.

შემოწმება სპორტულ მომზადებაში ჩატარდება 8-დან 13 ივლისამდე და 21-დან 29 აგვისტომდე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სკოლა-ინტერნატში ყოველდღე 9-დან 17 საათამდე.

მისამართი: გლდანის № 1 სპორტული სკოლა-ინტერნატი. ტელეფონები: 62-26-59, 62-45-20.

ავტობუსი № 24, მეტროს სადგურ „ელექტროდეპოდან".

გლდანის № 1 სპორტული სკოლა-ინტერნატის დირექცია.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 10673